სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N315/3

ქ. თბილისი „23“ „10“ 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი გიორგობიანის სახით, და მეორე მხრივ, სს „სილქნეტი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ნუგზარ ჩინჩალაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA120023891) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2013 წლის ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ინტრნეტ მომსახურების (CPV72400000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შემსყიდველს გაუწიოს აღნიშნული მომსახურება 9 960 (ცხრა ათას ცხრაას სამოცი) ლარად, დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტის, დანართი N1-ის – „ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ“ შესაბამისად.

3.2. მიმწოდებელმა, შემსყიდველს, ხელშეკრულების მოქმედების ვადით, დროებით სარგებლობაში გადასცა უნაკლო მედიაკონვერტორი. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია 20 (ოცი) დღის ვადაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, გამართულ მდგომარეობაში დაუბრუნოს მიმწოდებელს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული მედიაკონვერტორი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მოწყობილობის ღირებულება.

3.3. ერთი სრული თვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 830 (რვაას ოცდაათი) ლარს.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. მომსახურების გაწევა მოხდება „შემსყიდველი“–ს მისამართზე: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა მის: ქ. თბილისი წერეთლის გამ. №144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველთვიურად, მომსახურების გაწევის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული, ინსპექტირების ჯგუფის ან/და ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოება ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ ყოველი თვის 15 რიცხვამდე წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.1.2. უზრუნველყოს გაწეულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის (იგულისხმება ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის არსებობა) აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, თუ დეფექტის ან/და ნაკლის არსებობა გამოწვეულია სადემარკაციო წერტილიდან მიმწოდებლის მხარეს არსებული დაზიანებით.

7.1.3. უზრუნველყოს ინტერნეტ კავშირისთვის საჭირო კომუნიკაციების მომსახურება და დაზიანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით მიმწოდებლის წერტილიდან სადემარკაციო წერტილამდე.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.2. უზრუნველყოს მიმწოდებლის წარმომადგენელთა დაშვება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში ინსტალაციის უზრუნველსაყოფად და ტექნიკური გაუმართაობის აღმოსაფხვრელად.

7.2.3. აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2.4. დაიცვას მიმწოდებლის ქსელთან მიერთებული ნებისმიერი საკუთარი მოწყობილობა ან/და ტექნიკური საშუალება ნებისმიერი უნებართვო შეღწევისა და გამოყენებისაგან. შემსყიდველი უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად მიმწოდებლის მიმართ წარმოქმნილ ნებისმირი სახის დავალიანებას.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი ცვლილებებზე ინიციატორი მხარე არ არის ვალდებული წარუდგინოს მეორე მხარეს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საჭიროების შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება ვადაზე ადრე, ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და/ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით 3.3. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ერთი თვის მომსახურების ღირებულების 1% ოდენობით.

13.2. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების ან აღნიშნულ ვადაში მომსახურების ღირებულების არასრულად გადახდის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 1%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ვალდებულების დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1%-ს ვალდებულების არადამრღვევ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი ივანე გოლიაძე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

16.2 ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ასევე, ამ ხელშკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

17. დასკვნითი პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (--- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი – „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა	სს „სილქნეტი“
და სოციალური დაცვის სამინისტრო	ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N95
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ.N144	სს „საქართველოს ბანკი“
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	კოდი BAGAE22
საიდენტიფიკაციო კოდი 211333957	ანგ. N GE41BG0000000878415000
	ს/ კ 204566978
---	---
ირაკლი [illegible]	ნუგზარ ჩინჩარაული
მინისტრის პირველი მოადგილე	გენერალური დირექტორის მოადგილე
	კომერციულ დარგში

ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ

1. ინტერნეტ სერვისის მიწოდება უნდა განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შენობაში განთავსებულ მონაცემთა ცენტრში (წერეთლის განზ. 144).
2. კომუნიკაცია: ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხი (საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო ყველა ხარჯი მომწოდებელს ეკისრება).
3. სიჩქარე : გლობალური - 40 მბ/წმ გარანტირებული სიმეტრიული, ლოკალური - 200 მბ/წმ გარანტირებული სიმეტრიული. 4. სტატიკური IP მისამართების გამოყოფა - SUBNET/29 მასკა - 2 ერთეული.
5. მინიმუმ 2 საერთაშორისო არხის არსებობა.
6. Ping-ის დრო გლობალურ დაუტვირთავ არხზე არაუმეტეს 50 მილიწამისა თითოეული მიმართულებით.
7. პაკეტების დანაკარგი არაუმეტეს 0,1%.
8. ყოველთვიური არასამუშაო დრო (Downtime) არაუმეტეს 3 საათისა.
9. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დღეისათვის არსებული ყველა კავშირის (VPN, ვებ და მეილ სერვერები, ვებ-სერვისები) 24 საათში გადაწყობა/აღდგენა. სამინისტროში ამჟამად ფუნქციონირებს 14 VPN ქსელი და 8 ერთეული მეილ, ვებ-სერვერი და ვებ-სერვისი.

2.2. მომსახურების გაწევის ვადები
მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.3. მომსახურების გაწევის ადგილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144.

სილქნეტი
SILKNET

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

შესყიდვის ობიექტის დასახელება	მისამართი	გასაწევი მომსახურების აღწერილობა	მომსახურების გაწევის ვადები	1 თვის ღირებულება	სულ მომსახურების ღირებულება (ლარი)
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ინტერნეტ მომსახურება	ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144	40მბ/წმ – გლობალი, 200 მბ/წმ ლოკალი	01.01.2013-31.12.2013	830.00	9960.00

მომსახურების ჯამური ღირებულება 2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენს – 9960,00 (ცხრა ათას ცხრაას სამოცი) ლარი.

_____

_____

სილქნეტი SILKNET JSC 204566978


GERMANY (Frankfurt),
BULGARY (Sofia),
Level3, TeliaSonera
TURKEY
TurkTelecom
TURKEY
TurkTelecom,
SuperOnline
GERMANY (Frankfurt),
BULGARY(Sofia),
Level3, TeliaSonera
AZERBAIJAN
DeltaTelecom, Azertelecom